

# სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2020 -2026

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

# შესავალი

2020 – 2026 წლის სტრატეგიული გეგმა ასახავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შპს თეგეტა აკადემიის (შემდგომში აკადემია) განვითარების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, გამოხატავს მის ხედვებსა და პასუხისმგებლობებს ქვეყნის, საზოგადოების, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის, პერსონალის მიმართ, ასევე აახლოვებს იდეებისა და ღირებულებების შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების პერსპექტივასთან.

სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია თეგეტა აკადემიის მომავალი შვიდი წლის (2020-2026) განვითარების პრიორიტეტები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები თავდაპირველად დაეყრდო შემდეგ დოკუმენტებს:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წ.წ;
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, 2018;
- საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, 2010;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის დოკუმენტი;
- პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო;
- დაგეგმვის გზამკვლევი პროფესიული სასწავლებლის თანამშრომლებისთვის, 2018.

სტრატეგიული განვითარების 2020 წლის შვიდწლიანი გეგმა 2018 წელს, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის მეორადი გადამუშავების პროდუქტს წარმოადგენს და ეფუძნება თითქმის იგივე მიგნებებს. სტრატეგიული განვითარების გეგმის ცვლილება გამოიწვია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის ბრძანება 25/ნ - განხოციელებულმა ცვლილებებმა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებში ცვლილებამ თავის მხრივ განსაზღვრა შვიდწლიანი სტრატეგიული მიზნების და შესაბამისი ამოცანების ფორმულირება, მოქმედ 2018-23 წლების სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით, რისთვისაც შეიქმნა დოკუმენტი ახალი რედაქციით.

აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილებების ასახვა კვლავ საჭირო გახდა თეგეტა აკადემიის ახალი მიზნებიდან და აქტივობებიდან გამომდინარე. კერძოდ, აკადემიამ აქტიურად დაიწყო მონაწილეობა საგრანტო პროექტებში და წარმატებით მოიპოვა ფინანსური მხარდაჭერა, რისი მეშვეობითაც დაიწყო ზრუნვა არსებული და ახალი მიმართულებებით

განვითარებაზე.[1] ახალი მიმართულებებით გზების ძიებამ და პროფესიების დაუფლების შესაძლებლობების გაზრდამ საჭირო გახადა აკადემიის მისიის გადახედვაც. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აკადემიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რათა სამომავლო გეგმები და განხორციელებული აქტივობები დოკუმენტურადაც ასახულიყო.

## სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი

თავდაპირველ სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების ეფექტიანად განხორციელებისთვის, თეგეტა აკადემიის დირექტორმა დასახა კონკრეტული გეგმა და გამოიყო მისი შემუშავების პროცესის სამი ძირითადი ეტაპი:

### 1. სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება

თავდაპირველად სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების განხორციელების მიზნით, დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა სტრატეგიულ დაგეგმვაზე მომუშავე ჯგუფი, მტკიცებულებების ფორმები, უკუკავშირის განხორციელება დაინტერესებულ მხარეებთან. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პროცედურები სამუშაოების ჩატარების 9 ეტაპებისგან შედგებოდა, რაც დემონსტრირებულია ქვემოთ. ნახ. 1.




### 2. სტრატეგიული გეგმის მომზადება - განხილვა

სტრატეგიული გეგმის მომზადებისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეხვედრების ფორმატში დასახა კონკრეტული ამოცანები და განსაზღვრა შესაბამისი ინდიკატორები, თითოეული ამოცანა გაიწერა დროში, წლების მიხედვით. სამუშაო

[1] დეტალური ინფორმაცია იხ.დანართი N1-ში

ჯგუფის ყველა წევრის აზრთა ურთიერთშეჯერების შედეგად ჩამოყალიბდა დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რომელსაც დაეყრდნო სამოქმედო გეგმის დოკუმენტიც.

## 3. სტრატეგიული გეგმის დამტკიცება და სამოქმედო გეგმის შედგენა

სამუშაო ჯგუფის მიერ შეჯერებული და საბოლოოდ მოწონებული სტრატეგიული გეგმის პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება დირექტორს.

სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ ამოცანებს, მათი განხორციელების მექანიზმებს, შესრულების ინდიკატორებს, აქტივობებს, ვადებს, პასუხისმგებელ და შემსრულებელ პირებს/სტრუქტურებს, რესურსებს და განხორციელებაში ჩართულ სხვა მხარეებს.

დირექტორის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დოკუმენტების განხილვა ხდება წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

ცვლილებების და შესაბამისი კორექტივების შეტანის საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტი უბრუნდება სამუშაო ჯგუფს და არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, სამუშაო ჯგუფის მიერ, შესწორებული ვერსია წარედგინება დირექტორს დასამტკიცებლად.

სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის და შესაბამისი წლის საპროგნოზო ბიუჯეტის საბოლოო ვერსიის განხილვა და შეთანხმება ხდება თეგეტა აკადემიის დირექტორთან.

## თეგეტა აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები

თეგეტა აკადემიის მიერ, 2020 წელს შემუშავებული მისიის, ხედვის და ღირებულებების გადახედვა დღის წესრიგში დადგა 2024 წელს ახალი მიმართულებების ოფიციალური დამატებიდან გამომდინარე, კერძოდ, რამდენიმე წლის წინ აკადემია თუ ორიენტირებული იყო მხოლოდ მსუბუქი ავტომობილის მიმართულებით პროგრამების განხორციელებაზე, მიმდინარედ სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის პროგრამების დაუფლების შესაძლებლობას იძლევა, გარდა ამისა, გაიზარდა თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე და გაჩნდა განვითარების სხვადასხვა უნიკალური შესაძლებლობა, შესაბამისად, აზრთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე შემუშავდა და საბოოოდ ჩამოყალიბდა აკადემიის განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები შემდეგნაირად:

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

თეგეტა აკადემიის მისია: შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, საავტომობილო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალების ჩამოყალიბება, მათი კარიერული და პიროვნული ზრდის უზრუნველყოფა სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და კერძო სექტორთან თანამშრომლობით.

თეგეტა აკადემიის ხედვა: 2030 წელს თეგეტა აკადემია არის რეგიონში საერთაშორისო სტანდარტების მქონე წამყვანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ინდუსტრიაში არსებულ წამყვან ბრენდებთან თანამშრომლობით ქმნის თანამედროვე პროფესიული განათლების მიღების უნიკალურ შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიწოდებას ბიზნესის სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა უპრეცედენტო დასაქმებას.

ღირებულებები:

- ინკლუზიურობა და სამართლიანობა- თანაბარი შესაძლებლობები ყველა სტუდენტს/მსმენელს სწავლების პროცესში;
- მუდმივად სიახლეების ძიება-ყველა თაობის სტუდენტთა/მსმენელთა ინტერესების და მოთხოვნების გათვალისწინება;
- გუნდური მუშაობა-თანამშრომლობა, მხარდაჭერა და რესურსების გაზიარება საერთო მიზნის მიღწევის პროცესში;
- განვითარებაზე ორიენტირებულობა - უწყვეტად საკუთარი საქმიანობის შეფასება და გაუმჯობესების გზების ძიება.

## დაინტერესებულ პირთა და SWOT ანალიზი

თავდაპირველად სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის სამუშაო ჯგუფის მიერ, სტრატეგიული გეგმის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირებისთვის, დაინტერესებულ პირთა და SWOT ანალიზი იქნა გამოყენებული. სტრატეგიული დაგეგმვის ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდოლოგიის მიხედვით, ჯერ გამოიკვეთა, ხოლო შემდეგ განხორციელდა დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი შემდეგი თანმიმდევრობით:

## დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი:

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განისაზღვრა დაინტერესებულ მხარეთა წრე, გაანალიზდა მათი ინტერესები და საჭიროებები, მოლოდინები, დამოკიდებულებები და გასატარებელი ღონისძიებები. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი რამდენიმე ეტაპის გავლით შემუშავდა კერძოდ:

- პირველ ეტაპზე – მოხდა დაინტერესებულ მხარეთა კატეგორიზაცია, ასევე მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის მიმოხილვა;
- მეორე ეტაპზე – დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და საჭიროების გათვალისწინებით მოხდა ინფორმაციის მიწოდება საქმიანობების ძირითადი მიმართულებების შესახებ.
- მესამე ეტაპზე – დაიგეგმა ერთობლივი საქმიანობების განხორციელება დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების გათვალისწინებით;
- მეოთხე ეტაპზე დაიგეგმა ერთობლივი პროექტების განხორციელება.

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ხუთი მიზნობრივი ჯგუფი. დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის შედეგები ასახულია ამავე დოკუმენტში და განაწილებულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ინტერესების მიხედვით:

I. აკადემიის თანამშრომლები მმართველობითი, ადმინისტრაციული და სასწავლო მიმართულებით;
II. პოტენციური დამსაქმებელები და პარტნიორები კერძო სექტორში: საერთაშორისო და ადგილობროვ ბაზარზე საავტომობილო ბიზნესში მოღვაწე კომპანიები, მ. შ. პარტნიორი საწარმო თეგეტა მოტორსი;
III. არსებული და პოტენციური ბენეფიციარები;
IV. საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტის გამცემი ორგანიზაციები.
V. განათლების სისტემაში შემავალი ინსტიტუციები, როგორიცაა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, პარტნიორი კოლეჯები და ა.შ;

| დაინტერესებული მხარე | მათი ინტერესები ან საჭიროებები | რა მოლოდინი არსებობს მათ მიმართ | აღქმა, დამოკიდებულებები |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| I. აკადემიის თანამშრომლები მმართველობითი, ადმინისტრაციული და სასწავლო მიმართულებით | 1. თეგეტა აკადემიის მიერ ავტორიზებული კოლეჯის სტატუსის შენარჩუნება<br>2. მაღალი სტანდარტების შესაბამისი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა<br>3. პროფესიული გადამზადების გზით დასაქმების ახალი შესაძლებლობა<br>4. მონაწილეობა ახალგაზრდების განათლებისა და აღზრდის პროცესში; | 1. მაღალი ხარისხის სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა;<br>2. ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების არჩევანის შეთავაზება<br>3. პროფესიული განათლების სისტემის ცოდნა;<br>4. შესაბამისი კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება;<br>5. სწავლების თანამედროვე მეთოდების ფლობა ან მზაობა გადამზადებისთ ვის;<br>6. ახალი სამუშაო გამოცდილებისა და გამოწვევების მიღება;<br>7. ინტენსიური სამუშაო გრაფიკი. | 1. თეგეტა აკადემია ასოცირდება „თეგეტა მოტორსთან"-როგორც ბაზარზე არსებულ საავტომობილო სერვისებში მოღვაწე ბრენდთან, შესაბამისად, მოლოდინს წარმოადგენს ბრენდისთვის შესაბამის სასწავლო პროგრამებზე სწავლების შესაძლებლობა;<br>2. მაღალი კვალიფიკაციის, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება საავტომობილო მიმართულებით;<br>3. მასწავლებლისთვის რისკს წარმოადგენს დუალურ/მოდულური პროგრამების განხორციელება ახალი მიდგომების გათვალისიწნებით<br>4. ციფრული წიგნიერების კომპეტენციის  არ მქონე მასწავლებლების მოტივაცია განსაკუთრებით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის დროს;<br>5. აკადემიისთვის რისკს წარმოადგენს გამოცდილების არმქონე, ან ახალ გამოწვევებზე ნაკლებად ორიენტირებული მასწავლებელი; |
| II. პოტენციური დამსაქმებლები და პარტნიორები კერძო სექტორში: საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე საავტომობილო ბიზნესში მოღვაწე კომპანიები  პარტნიორი | კვალიფიციური და თანამედროვე სტანდარტების შესრულებაზე ორიენტირებულ პროფესიონალები. | სამუშაოზე დაფუძნებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე კადრები;<br><br>მომხმარებლის კმაყოფილებაზე ორიენტირებული სერვისის მიწოდება;<br><br>კორპორატიული კულტურა; | კომპანიის საჭიროებებზე მორგებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;<br><br>მაღალკვალიფიციური კადრებით შრომითი ბაზრის გამდიდრება |

| | | | |
|---|---|---|---|
| III. არსებული და პოტენციური ბენეფიციარები | შრომის ბაზარზე მოთხოვნადი განათლების მიღება და უმოკლეს დროში დასაქმება ან თვითდასაქმების შესაძლებლობა.<br><br>ახალი ცოდნის შეძენა და ინდუსტრიაში არსებული სიახლეების გაცნობა/ფლობა. | პრაქტიკული, განმავითარებელი და შედეგებზე ორიენტირებული განათლების მიღება;<br><br>არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა; | პრესტიჟულობა და სახელი საქართველოს საავტომობილო ბაზარზე არსებულ კომპანიასთან პარტნიორობის გათვალისწინებით. |
| IV. საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტის გამცემი ორგანიზაციები. | საავტომობილო მიმართულების განვითარება ეკოლოგიურობისა და ენერგოეფექტურობის პრინციპების დანერგვის კუთხით;<br><br>ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; | კვალიფიციური სამუშაო ძალით ბაზრის უზრუნველყოფის ხელშეწყობა შესაბამისი დაფინანსების და საკანონმდებლო დონეზე ლობირების მექანიზმების გამოყენების გზით. | ენიჭება სხვადასხვა პარტნიორობის ხელშემწყობი და წამახალისებელი როლი |
| V. განათლების სისტემაში შემავალი ინსტიტუციები | სტანდარტების შესაბამისი პროფესიული განათლების კერების არსებობა;<br>სამუშაოზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელშეწყობა და პარტნიორული ურთიერთობები;<br>პროფესიული განათლების პრესტიჟის ზრდა; | საგანმანათლებო ბაზარზე ახალი დაწესებულებებ ის განვითარების ხელშეწყობა;<br><br>სამუშაოზე დაფუძნებული პროფესიული განათლების შესაძლებლობის შექმნის ხელშეწყობა | დაფინანსების თანაბარი შესაძლებლობები როგორც საჯარო, ასევე კერძო სუბიექტების მიმართ;<br><br>თანამშრომლობა და სოციალური პარტნიორობის შესაძლებლობების გაზრდა; |

დაინტერესებული მხარეების ანალიზის შედეგად მათთან ურთიერთობის სტრატეგიაც განისაზღვრა, რაც შესაბამისად აისახა სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებში:

| დაინტერესებული მხარეების ანალიზი და მათთან ურთიერთობის სტრატეგია | |
|---|---|
| მატრიცა | საერთო სტრატეგია დაინტერესებულ მხარეთა კატეგორიების შეჯერების მიხედვით |

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

| | |
|---|---|
| მათი ძირითადი ინტერესები ან /და საჭიროებები | • თეგეტა აკადემიის მიერ ავტორიზებული კოლეჯის სტატუსის შენარჩუნება;<br>• მაღალი სტანდარტების შესაბამისი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა;<br>• კვალიფიციური და თანამედროვე სტანდარტების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული ახალი კადრების შექმნა ბაზარზე და მათი დასაქმება/თვითდასაქმების ხელშეწყობა;<br>• ახალი ცოდნის აკუმულირება და ინდუსტრიაში არსებული სიახლეების გაცნობა/ფლობა;<br>• სამუშაოზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელშეწყობა და პარტნიორული ურთიერთობების დამკვიდრება;<br>• პროფესიული განთლების პრესტიჟის ზრდის ხელშწყობა;<br>• დაინეტრესებულ მხარეთა წრის გაფართოება და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;<br>• არსებული მოთხოვნის შესაბამისი ხარისხიანი სერვისების მიღების შესაძლებლობის ზრდა და ბაზარზე არსებული კადრების კვალიფიკაციის გაუმჯობესება; |
| რა მოლოდინი არსებობს | • მაღალი ხარისხის სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა და ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების არჩევანის შეთავაზება;<br>• სამუშაოზე დაფუძნებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე კადრების აღზრდა საბოლოოდ მომხმარებლის კმაყოფილებაზე ორიენტირებული სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად;<br>• არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობის ზრდა;<br>• სამუშაოს შესაბამისი კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილების შეძენის შესაძლებლობის შექმნა;<br>• სწავლების თანამედროვე მეთოდების ფლობა ან მზაობა გადამზადებისთვის, ახალი სამუშაო გამოცდილებისა და გამოწვევების დაკმაყოფილება;<br>• მონაწილეობა მიიღონ და მოითხოვონ ხარისხიანი განათლების მქონე კადრების ჩაერთვა კვალიფიკაციის მინიჭების პროცესში. |
| აქვთ, დამოკიდებ ულებები | • თეგეტა აკადემია ასოცირდება „თეგეტა მოტორსთან“ -როგორც ბაზარზე არსებულ საავტომობილო სერვისებში მოღვაწე ბრენდთან, შესაბამისად, მოლოდინს წარმოადგენს ბრენდისთვის შესაბამის სასწავლო პროგრამებზე სწავლების შესაძლებლობა და მაღალი კვალიფიკაციის, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება საავტომობილო სერვისებში;<br>• დუალურ/მოდულური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული მასწავლებლისთვის არსებული რისკები მაქსიმალური შემცირება და ახალი მიდგომების სწრაფად დანერგვა; განსაკუთრებით კავლიფიკაციის მინიჭების პროცესში ახალი სუბიექტების და გარემოებების ჩართვით ხარისხის გაუარესების რისკის მართვის შესაძლებლობლობა (დისტანციური სწავლება);<br>• თანამშრომლობა და სოციალური პარტნიორობის შესაძლებლობების გაზრდა; |

| | |
|---|---|
| გასატარებელი ღონისძიებები | • ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილება - თვითშეფასების პროცესის წარმატებით გავლა.<br>• პროგრამების მუდმივი განვითარება და სრულყოფა;<br>• განათლების სისტემაში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობა;<br>• უკვე არსებული კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ან/ და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობების გაძლიერება;<br>• პროფესიული განათლების პრესტიჟის ზრდის ხელშეწყობა, მათ შორის ღია კარის ტიპის შეხვედრები აკადემიის ბაზაზე ან/და სერვისცენტრებში; თეგეტა აკადემიის კურსდამთავრებულთა წარმატებული ისტორიები და დასაქმების რეალური მაგალითები;<br>• მოდულური/დუალური პროგრამის თავისებურებებსა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაზე ორიენტირებული პრაქტიკული ტრენინგები;<br>• მასწავლებელთა მუდმივი მხარდაჭერა და თანმდევი სიახლეების ადაპტირება;<br>• წარმატებაზე ორიენტირებული დაფინანსების და წახალისების სისტემის შემუშავება და დანერგვა; |

## SWOT ანალიზი

დაინტერესებული მხარეების ანალიზის დოკუმენტზე დაყრდნობით, სამუშაო ჯგუფმა საქმიანობაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების ფაქტორების ანალიზი ჩაატარა.

შიდა ფაქტორების ანალიზმა (ძლიერი და სუსტი მხარეები) მოიცვა სხვადასხვა სეგმენტები: სწავლა-სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები; ამ პროცესისათვის შესაბამისი პირობები; ხარისხის უზრუნველყოფა; პერსონალი და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერა; სტუდენტური სერვისები; ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები; შრომის პირობები; მართვის სისტემა და ა.შ. ანალიზის შედეგად გამოვლინდა შესაბამისი ძლიერი და სუსტი მხარეები;

გარე ფაქტორების ანალიზმა (საფრთხეები და შესაძლებლობები) მოიცვა: განახლებული კანონმდებლობა, დამსაქმებელთა მოთხოვნები, სტანდარტები, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის ძირითადი ასპექტები (მათ შორის, დასაქმება, კონკურენტული გარემო, მოთხოვნები არსებულ სპეციალობებზე და სხვ). SWOT-ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები, პირობითად ოთხ მიმართულებად განაწილდა:

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

**ძლიერი მხარე:**

1. თანამშრომლობა სფეროს მთავარ და ძირითად დამსაქმებელთან შპს თეგეტა მოტორსთან, როგორც პარტნიორ საწარმოსთან სწავლების და დასაქმების მიმართულებით;
2. საავტომობილო სფეროში დუალური პროგრამის განხორციელებისას მიღებული უნიკალური გამოცდილება;
3. საავტომობილო სფეროს წამყვანი ბრენდების თანამედროვე ოფიციალურ სასწავლო ლიტერატურასთან წვდომა;
4. შპს თეგეტა აკადემიის ადმინისტრაციის თანამშრომლების, პროფესიული მასწავლებლების და პარტნიორი საწარმოს ინსტრუქტორების სამუშაო გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია.
5. თანამშრომლთა განვითარებისა, წახალისების და მოტივაციის სისტემა;
6. ადმინისტრაციული გუნდის მართვის თანამედროვე ელექტრონული სისტემა;

**სუსტი მხარე:**

1. ფინანსურად ნაკლებ მომგებიანი პროფესიული პროგრამები;
2. სტუდენტური საცხოვრებლის არ არსებობა;
3. მცირე რესურსებით განპიროებული პროფესიული სტუდენტების კონტიგენტის შეზღუდული რაოდენობით მიღების შესაძლებლობა;
4. პროფესიული კოლეჯად ფუნქციონირების მხოლოდ 2 წლიანი ისტორიის გათვალისწინებით შედარებით დაბალი ცნობადობა;

**შესაძლებლობები(გარე):**

1. საავტომობილო სფეროში მოღვაწე წამყვან საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება;
2. პროფესიული განათლების მიმართ გაზრდილი ინტერესი და ინვესტიციები: კერძო, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის მხრიდან;
3. ახალი პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება საავტომობილო და მონათესავე დარგებში;
4. ახალი პროფესიული მოკლევადიანი სასერთიფიკატო კურსების განხორციელების უფლების მოპოვება;
5. არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვება;
6. განათლების ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტის სერთიფიკატის მოპოვება;
7. პროფესიული სტუდენტების და მასწავლებლების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა;
8. პროფესიული სტუდენტების, პერსონალის განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა;
9. საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე საავტომობილო სექტორის განვითარების პრიორიტეტად ფორმირება;
10. კვალიფიციურ კადრზე მოთხოვნის ზრდა;
11. სახელმწიფო დაფინანსებით სტუდენტების მიღება;
12. ონლაინ სწავლების დანერგვა თეორიული სწავლების კომპონენტში;

**საფრთხეები(გარე):**

1. პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული ცვალებადი სამართლებრივი მოთხოვნები და პოლიტიკა;
2. ფორს მაჟორის დროს პროფესიული პროგრამების პრაქტიკული სწავლების შეჩერება, ვინაიდან შეუძლებელია მისი ონლაინ სივრცეში ინტეგრაცია;
3. არაპროგნოზირებადი (ცვალებადი) კონკურენტული გარემო;
4. სახელწიფოში სოციალურ - ეკონომიკური ფონის გაუარესება;
5. ფორს მაჟორული მდგომარეობა;

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

# სტრატეგიული მიზნების ფორმირება

სტრატეგიული მიზნების გამოკვეთა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის გამოყენებით გახდა შესაძლებელი. ეს არსებითი ეტაპია, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას, თუ რა არის რეალურად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული ინსტიტუციური განვითარებისათვის და რა მიმართულებებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

2020-2026 პირველადი სტრატეგიული გეგმის შესაბამისი სტრატეგიული მიზნების ფორმირება, გარდა თეგეტა აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით გამოკვეთილი მიმართულებებისა, განისაზღვა შემდეგ მონაცემებზე დაყრდნობით:

- 2018-2020 წლის თეგეტა აკადემიის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში;
- 2018-2024 წლის თეგეტა აკადემიის ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- 2019 წლის განმავლობაში თეგეტა აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროების და ხარისხის შეფასების მიმართულებით ჩატარებული კვლევების ანგარიშები;
- Covid - 19 -ის პანდემიით გამოწვეული დისტანციური სწავლების საჭიროების ფაქტობრივი მოცემულობა;
- კანონში პროფესიული განათლების შესახებ შესული შესაბამისი ცვლილებები.
- SWOT ანალიზი;
- დაინტერესებული პირების ანალიზი;
  ცვლილებების გათვალისწინებით:
- საგრანტო პროექტების შედეგად შექმნილი შესაძლებლობები.[2]
- ოფიციალური გადაწყვეტილებები პროგრამების განხორციელებაზე უფლების მოპოვების შესახებ;
- შეცვლილი და გაფართოებული სტრუქტურა.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის, სხვადასხვა ფაქტორის და ნორმატიული ცვლილებების საფუძველზე პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა თეგეტა აკადემიის განვითარების ექვსი სტრატეგიული მიზანი, თუმცა აკადემიის განვითარებისა და გაფართოების მიზნით, საბოლოოდ აკადემიის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა შედგება შვიდი სტრატეგიული მიზნისგან:

- ❖ **სტრატეგიული მიზანი N1**: ინსტიტუციური განვითარება;

- ❖ **სტრატეგიული მიზანი N2**: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების დანერგვა;

---

[2] აღნიშნული უკავშირდება სტრატეგიულ გეგმაში 2023-2024 წელს შეტანილ ცვლილებებს

- **სტრატეგიული მიზანი N3:** ინფრასტრუქტურული განვითარება;
- **სტრატეგიული მიზანი N4:** ადამიანური რესურსის განვითარების და სტუდენტთა/მსმენელთა უფლებების ხელშეწყობა;

- **სტრატეგიული მიზანი N5:** თანამშრომლობა განათლების სისტემაში შემავალ დაწესებულებებთან;

- **სტრატეგიული მიზანი N6:** თანამშრომლობა პარტნიორ კომპანიასთან /ებთან;

- **სტრატეგიული მიზანი N7:** საგრანტო პროექტებში მონაწილეობა და ფინანსური მდგრადობა.

## მონიტორინგის და შეფასების სისტემა

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შედეგად გამოკვეთილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევების ეფექტურობის გასაზომად საჭიროა მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის განსაზღვრა. თეგეტა აკადემიისთვის მისაღები მთელი პროცესის ურთიერთმიმართების საკითხი ჩანს ნახაზი 1-ზე;
მონიტორინგის და შეფასების შედეგები არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად, შედეგების გასაზომად და დასადგენად რამდენად ეფექტურად დაიხარჯა ფინანსები/ რესურსები.

**ნახაზი 1**




სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მიზანია შეამოწმოს განხორციელებული საქმიანობების გაწერილ მიზნებთან და ამოცანებთან თანხვედრა, განსაზღვროს რეკომენდაციები გაუმჯობესებისთვის. შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესისთვის გაიწერა შემდეგი ამოცანები:

- სტრატეგიული მიზნით განსაზღვრული ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების მიღწევების მონიტორინგის და შეფასების პერიოდულობის და ინსტრუმენტების განსაზღვრა;
- სტრატეგიული მიზნების შესაბამისი მიმდინარე და საბოლოო შედეგების და ღონისძიებების განხორციელების ხარისხის შეფასება;
- განსახორციელებელი ინიციატივების/აქტივობების შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფის გეგმა;

მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მაქსიმალური გამჭირვალობისა და სისტემის გამართულობის მიზნით, სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის დამხმარე დოკუმენტების სახით შექმნილია:

- რისკების შეფასების და მართვის დოკუმენტი.




<u>შეფასების პროცესის სქემატობრივი გამოსახვა</u>

თეგეტა აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების სისტემა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

## სამოქმედო გეგმა

**სამოქმედო გეგმის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ:**

1. ექვს თვეში ერთხელ შეფასებისა და ანგარიშგების მიზანია სამოქმედო გეგმის აქტივობების და აქტივობის ინდიკატორების გაანალიზება შესრულების პროგრესი, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენციების გამოვლენისთვის. ინდიკატორის შესრულების დაბალი მაჩვენებელი ან საერთოდ შეუსრულებლობა, რაც უფრო დროულად გამოვლინდება,

შესაბამისად უფრო ადვილი იქნება ინტერვენცია; 6 თვის მონაცემების შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

2. წლის ბოლოს, წლიური ანგარიშის მიზანია, არამხოლოდ აქტივობის (მოსალოდნელი შედეგების) შესრულების მონიტორინგი და შეფასება, არამედ შეფასება ამოცანის/ების დონეზეც. სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში გვაწვდის ინფორმაციას საერთო შესრულების პროგრესის (როგორც რაოდენობრივის, ასევე ხარისხობრივის) შესახებ, რაც კარგი საშუალებაა წლის ჭრილში სრული სურათის წარმოდგენისთვის.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად თუ ადგილი აქვს სამოქმედო გეგმის ინდიკატორების შესრულების 50%-ით შეფერხებას, ან ტიპის ცვლილებებს, შესაძლოა საჭირო გახდეს სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ცვლილებების პაკეტის მომზადებას და შესაბამისი წესის მიხედვით დამტკიცებას.

საბოლოო ანგარიშის წარდგენის ვადაა არაუგვიანეს 12 თვის დასრულებიდან 2 კვირა და ეს ანგარიში წარმოადგენს საჯარო დოკუმენტს, რომელიც უნდა განთავსდეს თეგეტა აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

წლიური ანგარიშის მომზადებაზე და მონაცემების შეგროვება - გაანალიზებაზე ასევე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი;

## სტრატეგიული გეგმა

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის პირველადი ინსტრუმენტია წლების მიხედვით ჩაშლილი შესაბამისი სამოქმედო გეგმების შუალედური და წლიური ანგარიშები.

სტრატეგიული გეგმის შეფასების დოკუმენტი ანგარიშის სახით უნდა შეიქმნას ორ წელწადში ერთხელ, შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების ანგარიშის წარდგენის პერიოდებად განისაზღვრა: 2022, 2024 და 2026 წლები.

ანგარიშის მომზადებაზე და მონაცემების შეგროვება - გაანალიზებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი;

მონიტორინგის შედეგები მოქმედ სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის წინაპირობას იმ შემთხვევაში წარმოადგენს თუ:

- სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანის შესრულების ინდიკატორების 50% - ის შეუსრულებობა;
- ოფიციალური უწყების მიერ გამოცემული დამატებითი რეგულაციები ან/და შეცვლილი მოთხოვნები;
- ფორს-მაჟორული სიტუაცია ან სრულიად ახალი გარემოებები;

წლიური ანგარიშის ფორმატი მოიცავს მხოლოდ სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებაში შესრულების მონაცემებს;

გამომდინარე იქიდან, რომ სტრატეგიული გეგმა შვიდ წელზეა გაწერილი, განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებისთვის ამ პერიოდის მანძილზე ცვლილებების განხორციელება სრულიად რეალისტურია. შესაბამისად, აკადემიის სტრატეგიული გეგმის კორექტირება (თუმცა არაძირეულად), გარდა მონიტორინგის შედეგებისა, შესაძლოა არსებული გარემო პირობებიდან გამომდინარეც განხორციელდეს. ცვლილებების შეტანის გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს აკადემიაში და მის ფუნქციონირებაში გატარებული ან/და გასატარებელი ღონისძიებები, სტრუქტურული ცვლილებები, მიმართულებების დამატების ფაქტი, გაფართოება/განვითარება და სხვა გარემოება, რაც უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტურად და ყოველი ცვლილება იქნას ასახული, შემდეგ კი გაზიარებული.

# სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები

## სტრატეგიული მიზანი №1.

## უწყვეტი ინსტიტუციური განვითარება

თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები განსაკუთრებით აისახება თეგეტა აკადემიის მდგრადობაზე. ამ კონტექსტში პრიორიტეტია უწყვეტი ინსტიტუციური განვითარება, რაც კომპლექსური პროცესია და ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ ან გასაუმჯობესებელ ქმედებებს მოითხოვს. რაც მთავარია, ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობით გაიზრდება კონკურენტუნარიანობა და მდგრადობა საქმიანობის ყველა მიმართულებით: ფინანსურად, საკადრო თვალსაზრისით, მენეჯმენტის კუთხით, სოციალური სტატუსისა თუ ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. უწყვეტი ინსტიტუციური განვითარება სოციალური პასუხისმგებლობის ზრდის საკითხის პირდაპირპროპორციულია, ქვეყნის და საზოგადოების განვითარების პროცესში წვლილის შესატანად;

სტრატეგიული მიზანი №1-ის შესაბამისი ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორებია:

| სტრატეგიული მიზანი N1. უწყვეტი ინსტიტუციური განვითარება | |
|---|---|
| **ამოცანა** | **შესრულების ინდიკატორი** |
| 1. 1. თეგეტა აკადემიის საქმიანობის | 1.1.1. დაწესებულების მისია შესაბამისობაშია პროფესიული განათლების მიზნებთან და განსაზღვრულია საქმიანობის ძირითადი მიმართულებები; |

| | |
|---|---|
| მხარდამჭერი სამართლებრივი ბაზის შექმნა და განვითარება | 1.1.2. ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაშია მისიასთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი |
| | 1.1.3. განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია |
| | 1.1.4. შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა აქტივობებისა და რესურსების გათვალისწინებით; |
| | 1.1.5. აკადემიის შიდა სამართლებრივი აქტები უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის/არსებული სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროცესის და კვალიფიკაციის მინიჭების განხორციელებას |
| | 1.1.6. შიდა პროცესების განხორციელებისთვის შემუშავებული ეფექტური მართვის მექანიზმები; |
| **1.2.** საქმისწარმოების პროცესის განვითარების ხელშეწყობა | 1.2.1. საქმისწარმოების ერთიანი წესი შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან |
| | 1.2.2. მართვასა და საქმისწარმოებაში გამოყენებულია თანამედროვე ტექნოლოგიები, მოქმედებს ელექტრონული საქმისწარმოება; |
| | 1.2.3. მოქმედებს დოკუმენტბრუნვის პროცესის ეფექტური მართვის მექანიზმი, დოკუმენტების მომზადებისა და გაგზავნის ერთგვაროვანი სტანდარტი |
| | 1.2.4. ხელმისაწვდომია ადმინისტრაციული მხარდაჭერა და მისი მოქმედება გონივრულ ვადებში |
| **1. 3.** ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება | 1.3.1. მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის დემინგისეული ციკლი- დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე; |
| | 1.3.2. ჩატარებულია კვლევა პროფესიული სტუდენტების და მსმენელების კმაყოფილებასთან/საჭიროებებთან დაკავშირებით და გამოვლენილია საჭიროებები |
| | 1.3.3. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაუმჯობესებულია მომსახურების ხარისხი; |
| | 1.3.4. ჩატარებულია კვლევა პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებათა (მაგ. პროფესიული განვითარების საჭიროებათა) შესახებ; |
| | 1.3.5. შეფასებულია რესურსები და საჭიროების შემთხვევაში გაცემულია განვითარებისთვის რეკომენდაციები; |
| | 1.3.6. კვლევებზე დაყრდნობით გაანალიზებულია პროგრამის განხორციელების შედეგები და საჭიროების შემთხვევაში დაინიცირებულია ცვლილებები; |
| | 1.3.7. ჩატარებულია კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა; |
| | 1.3.8. ჩატარებულია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსთან დაკავშირებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი; |
| | 1.3.9. განხორციელებულია შიდა ვერიფიკაცია და ანალიზი შემდგომი განვითარებისთვის; |
| | 1.3.10 მომზადებული და წარდგენილი სამოქმედო გეგმის შუალედური და საბოლოო შეფასება და ანგარიშგება; |
| | 1.3.11 ჩატარებული სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და განხორციელებული შესრულების ანგარიშგება; |
| **1. 4.** IT მხარდაჭერის სისტემის განვითარება | 1.4.1. IT მხარდაჭერის სისტემით უზრუნველყოფილია აკადემიაში მიმდინარე პროცესები; |
| | 1.4.2. უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვა; |

| | |
|---|---|
| | 1.4.3. უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის მონაცემთა დაცვა |
| | 1.4.4 საინფორმაციო ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია პერსონალის და პროფესიულ სტუდენტთათვის; |
| | 1.4.5. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფილი პროცესების მართვა |
| **1.5.** ანტიკრიზისული გეგმის შემუშავება | 1.5.1. შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმა; |
| | 1.5.2. გათვლილია ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისი რესურსი; |
| **1.6.** მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება | 1.6.1. ვებგვერდის / სოცმედია ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას |
| | 1.6.2. აკადემიის შესახებ გავრცელებულია უტყუარი ინფორმაცია; |
| | 1.6.3. ჩატარებული საინფორმაციო კამპანია სხვადასხვა საშუალებით; |
| | 1.6.4 აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის გამოიყენება სოცმედია საშუალებებით მიღებული უკუკავშირის შედეგები; |
| **1.7.** საწარმოს სტატუსის მოპოვება | 1.7.1. წარდგენილია ინიციატივა/მიმართვა პარტნიორ კომპანიასთან |
| | 1.7.2. მოპოვებულია სასწავლო საწარმოს სტატუსი |
| **1.8.** შესაბამისობის გეგმით გაწერილი ამოცანების შესრულება | 1.8. შესრულებულია გაწერილი ამოცანები დადგენილ დროში |

## მოსალოდნელი შედეგები:

- დანერგილია თეგეტა აკადემიის მართვის ეფექტური მექანიზმები;
- გაზრდილია ეფექტიანობა კრიზისული სიტუაციის დროს მატერიალური, ადამიანური რესურსებისა და პროცესების მართვის მიმართულებით.
- უზრუნველყოფილია საქმისწარმოებისა და IT მხარდაჭერის სისტემის მოქნილობა;
- ამაღლებულია საავტომობილო მიმართულებით პროფესიული განათლების მიმართ ცნობიერება;
- გაზრდილია პოტენციურ სტუდენტთა რაოდენობა.

## რისკები:

- ეკონომიკური და სოციალური არასტაბილურობა;
- სამოქმედო გეგმის/ების შეუსრულებლობა ფორსმაჟორული სიტუაციის მიზეზით;
- საწარმოს სტატუსის მოპოვების შეფერხება სისტემაში არსებული ხარვეზის გამო;
- შვიდწლიანი სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანების ცვლილების სიხშირე.

## სტრატეგიული მიზანი №2.

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების დანერგვა

დასაქმების ბაზარზე კვალიფიციური კადრის მოთხოვნის პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების შესაძლებლობის შექმნა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რეგიონშიც, შემდეგი მიმართულებით:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და დიპლომირებული კადრის ზრდა კომპანიებში;
- პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შექმნა/განხორციელება ახალი მიმართულებების დამატებით და სერტიფიცირებული კადრის ზრდა კომპანიებში;
- სასწავლო პროცესის გამართულობა თბილისში, ფოთსა და ბათუმში.
- პროგრამების შესაბამისი რესურსის მაქსიმალური გამდიდრება;
- არაფორმალური განათლების აღიარების შეთავაზება;

სტრატეგიული მიზანი №2-ის შესაბამისი ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორებია:

| სტრატეგიული მიზანი №2. საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განვითარება | |
|---|---|
| 2.1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელება | 2.1.1 პროგრამა ხორციელდება თანამედროვე მიდგომებით და უზრუნველყოფილია მათი განვითარება; |
| | 2.1.2 კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებს დაშვების წინაპირობები, რომლის გათვალისწინებით შერჩეულია სტუდენტები; |
| | 2.1.3. შემუშავებულია და მოქმედებს კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია; |
| | 2.1.4 გამოცხადებულია მიღება მინიმუმ 1 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე; |
| | 2.1.5 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა მხარდაჭერილია მატერიალური რესურსით; |
| | 2.1.6 პროგრამის განხორციელებისთვის გაწერილია სასწავლო და კალენდარული გეგმები; |
| | 2.1.7. პროგრამის დამტკიცება, დამატება, მასში ცვლილების შეტანა ხორციელდება შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად; |
| 2.2. პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამების განხორციელება | 2.2.1 გამოცხადებულია მიღება მომზადება/გადამზადების მინიმუმ 3 პროგრამაზე; |
| | 2.2.2 მსმენელების ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად; |
| | 2.2.3 ჩატარებულია პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება |
| | 2.2.4 პროგრამას ჰყავს კვალიფიციური პროგრამის განმახორციელებლები |
| | 2.2.5 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა მხარდაჭერილია მატერიალური რესურსით |
| 2.3. სასწავლო პროცესის | 2.3.1 პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებლები; |
| | 2.3.2 საბიბლიოთეკო რესურსებით უზრუნველყოფილია სწავლის შედეგის მისაღწევა; |

| | |
|---|---|
| მართვა და ადმინისტრირება | 2.3.3 პროგრამების შესაბამისად შექმნილი და ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტები |
| | 2.3.4 სასწავლო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს სწავლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით |
| | 2.3.5 პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს სწავლება პროფესიულ მომზადება/ გადამზადების პროგრამებზე მსმენელის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით |
| | 2.3.6 ხორციელდება პრაქტიკული კომპონენტის მიმდინარეობის მონიტორინგი |
| | 2.3.7 სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მიდგომები |
| | 2.3.8 გამოიყენება დამატებითი ელექტრონული სასწავლო პლატფორმა |

| | |
|---|---|
| 2.4. პროგრამის შეფასება და მონიტორინგი | 2.4.1. სტანდარტების შემოწმების მიზნით განხორციელებულია მონიტორინგი შეფასების არსებული მეთოდების გამოყენებით და დადგენილია შესაბამისობა |
| | 2.4.2. სასწავლო პროცესი ხორციელდება წესრიგის, შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის ნორმების დაცვით; |
| | 2.4.3. სასწავლო პროცესი ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა საჭიროებების გათვალისწინებით; |
| | 2.4.4. პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურება უზრუნველყოფილია შეფასების რელევანტური და ობიექტური სისტემით; |
| | 2.4.5. უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესზე დასწრების მაღალი მაჩვენებელი |
| 2.5.არაფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობა პროფესიული პროგრამების ფარგლებში | 2.5.1. არაფორმალური განათლების აღიარების უფლება მოპოვებულია ავტორიზებული პროგრამების ფარგლებში |
| | 2.5.2. არაფორმალური განათლების აღიარება ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისთვის |

## მოსალოდნელი შედეგები:

- ☑ განხორციელებულია ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიული მომზადება/გადამზადების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- ☑ გაზრდილია სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილება მაღალი დონის სასწავლო პროცესიდან გამომდინარე;
- ☑ სადიპლომო და სასერტიფიკატო პროგრამები უზრუნველყოფილია საჭირო რესურსით;
- ☑ გაზრდილია ბაზარზე კვალიფიციური პირების დასაქმების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- ☑ გაზრდილია სერვისებით მომხმარებელთა კმაყოფილების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- ☑ არაფორმალური განათლების აღიარების პოპულარიზაცია და დაინტერესებული პირების გაზრდილი მაჩვენებელი;

## რისკები:

- ☑ ეკონომიკური და სოციალური არასტაბილურობა;
- ☑ დაინტერესების დაბალი დონე;
- ☑ დასაქმების ბაზარზე სერვისებზე მოთხოვნების მკვეთრი ვარდნა;

## სტრატეგიული მიზანი №3.

## ინფრასტრუქტურული განვითარება

პროგრამების განხორციელებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ინფრასტრუქტურული განვითარება. თეგეტა აკადემია ხარისხზე ორიენტირებული დაწესებულებაა, შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებულის განვითარება/განახლებაზე ზრუნვა, სიახლეების დანერგვა, უახლესი რესურსით პროფესიის დაუფლება და ამ მიმართულებით სტუდენტების/მსმენელებისთვის და დასაქმებულთათვის საუკეთესო პირობების შეთავაზება.

სტრატეგიული მიზანი N3-ის შესაბამისი ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორებია:

| სტრატეგიული მიზანი №3 . ინფრასტრუქტურული განვითარება | |
|---|---|
| 3.1. ინფრასტრუქტურის განახლება, შეკეთება, გაუმჯობესება | 3.1.1. უზრუნველყოფილია პროგრამების შესაბამისი რესურსის განვითარება, გაუმჯობესება (მინ.3 რესურსის გამჯოსება ყოველწლიურად) |
| | 3.1.2. ჩატარებულია ინვენტარიზაციის პროცესი |
| | 3.1.3. მომზადება/გადამზადების პროგრამებისთვის შეძენილია ინოვაციური რესურსი და გამოიყენება სწავლების პროცესში |
| 3.2. ჯანმრთელობის, წესრიგისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა | 3.2.1. სასწავლო პროცესში და პრაქტიკულ სივრცეში უზრუნველყოფილია შრომის უსაფრთხოების დაცვა |
| | 3.2.2. დაცულია უსაფრთხოების და წესრიგის ზომები |
| | 3.2.3. შემუშავებულია და მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები/შტაბი, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია შესაბამის სტრუქტურასთან |
| | 3.2.4. უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვა |
| | 3.2.5. ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოება და წესრიგის დაცვა უზრუნველყოფილია შესაბამისი მექანიზმებით |

### მოსალოდნელი შედეგები:

- აკადემიას აქვს უახლესი და ინოვაციური რესურსი პროგრამების განსახორციელებლად;
- ადაპტირებულია სასწავლო გარემო;
- დაცულია შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოიების ნორმები პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის;
- ხელმისაწვდომია ციფრული და ბეჭდური რესურსები;
- აკადემიის მთელ ტერიტორიაზე დაცულია უსაფრთხოების ზომები და მუდამ კონტროლირებადია.

### რისკები:

- ეკონომიკური და სოციალური არასტაბილურობა;

- მკვეთრად გაზრდილი ხარჯები;
- პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მზაობის/მოტივაციის ნაკლებობა დაიცვან დადგენილი ან/და ცვალებადი უსაფრთხოების წესები;

## სტრატეგიული მიზანი №4.

## ადამიანური რესურსის განვითარების და სტუდენტთა/მსმენელთა უფლებების ხელშეწყობა

პერსონალის მართვის პოლიტიკის და პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების საფუძველს განსაზღვრავს თეგეტა აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები. აკადემიაში არსებულ სხვადასხვა ღირებულებაზე დაყრდნობით ჩამოყალიბებულია მართვის ეფექტიანობის განმაპირობებელი ძირითადი პრინციპები:

1. მართვის ეთიკურობა: გულისხმობს, რომ ორგანიზაციული გადაწყვეტილებები მიიღება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და დასაქმებულთა უფლებების და ღირსებისა და პატივის გათვალისწინებით (მ.შ. ჯანმრთელ და უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემო; სამართლიანი ანაზღაურება; თანამშრომელთა წახალისება; ინდივიდთა პატივისცემა; მართვის მოქნილობა, შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომების დაცვა და სხვა).
2. სამართლიანობა: გულისხმობს მართვის ობიექტურობას, მიუკერძოებლობას და გამჭვირვალობას; ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპის პატივისცემას; სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების ისე განაწილებას, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი;
3. პროფესიული განვითარება: გულისხმობს თანამშრომელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობას და ინდივიდუალური განვითარების შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და გამოწვევებზე დამყარებულ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა;
    - დარგთან/დისციპლინათან დაკავშირებული ცოდნა, სიახლეები;
    - სწავლის შედეგების მიღწევის და შეფასების სტრატეგიები;
    - სწავლა- სწავლების მეთოდები;
    - სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება;
    - ახალი პროგრამების შემუშავება;
    - უცხოური ენის, კომპიუტერული და მართვის უნარების განვითარება და სხვა.

პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნის მიღწევა მიმდინარეობს სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით: ტრენინგები, ვორქშოფები, სემინარები, შეხვედრები და ა.შ.

4. მონაწილეობა და თანაბარი შესაძლებლობები: გულისხმობს, თანამშრომელთა თანაბარ შესაძლებლობებს თეგეტა აკადემიის მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბების, მათი განხორციელებისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში. ეს პრინციპი გამორიცხავს პირის დისკრიმინაციას ასაკის, სქესის,

ინტერესთა, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების, რელიგიისა და სხვა ნიშნების მიხედვით;

5. პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა უფლებების დაცვა - მხარდაჭერის ღონისძიებების სისტემის ჩამოყალიბება თეგეტა აკადემიის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. სტუდენტთა/მსმენელთა სერვისებისა და მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფა მრავალფეროვან ღონისძიებებს მოიცავს:

- სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერა და საკონსულტაციო მომსახურება;
- პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა: სტუდენტების/მსმენელთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მათ ინფორმირებას დასაქმების ბაზარზე არსებული მდგომარეობის, გამოცხადებული ვაკანსიების, დასაქმების ფორუმების და სხვა ღონისძიებების შესახებ; სტუდენტთა დახმარებას საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვასა და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების კვლევის შედეგად მათი მოლოდინების, პრობლემების, წინადადებების, მოსაზრებების გათვალისწინება მართვასა და სწავლების პროცესში;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის შესაძლებლობა ნებისმიერი, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობებების და სპეციალური საჭიროებების მქონე, მობილობით გადმოსულ, სტატუს აღდგენილ, განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეულ ან/და დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მიზნობრივი ჯგუფებისთვის.

სტრატეგიული მიზანი №4-ის შესაბამისი ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორებია:

| სტრატეგიული მიზანი №4. ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა | |
|---|---|
| 4.1.პროფესიულ მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა განვითარება | 4.1.1. იდენტიფიცირებულია პროფესიულ მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა საჭიროებები |
| | 4.1.2. დაგეგმილია პროფესიულ მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა განვითარების ღონისძიებები და არსებობს მინიმუმ 3 ბრძანება კვალიფიკაციის ამაღლების თაობაზე წლის ჭრილში |
| | 4.1.3. ჩატარებულია კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასებისთვის ტრენინგ-მოდული და გადამზადებულია ინსტრუქტორები |
| | 4.1.4. უზრუნველყოფილია პროფესიული მასწავლებლების ჩართულობა პროფესიული განვითარების გარე და შიდა მხარდაჭერის ღონისძიებებში; |
| | 4.1.5. პროფესიული მასწავლებლისთვის გაწერილია და მოქმედებს საკვალიფიკაციო მოთხოვნები |
| 4.2. პერსონალის განვითარება, შრომის, ადეკვატური სამუშაო გარემოსა და სახელფასო სამოტივაციო სისტემის შექმნა | 4.2.1. ჩატარებული კვლევის საფუძველზე უზრუნველყოფილია პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი მინიმუმ 3 ღონისძიება |
| | 4.2.2. პერსონალის განვითარება ხორციელდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად |
| | 4.2.3. ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით მკაფიოდ განსაზღვრულია ფუნქციები |
| | 4.2.4. სტრუქტურულ ერთეულებს შორის გადანაწილებული ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს; |
| | 4.2.5. დამტკიცებულია და მოქმედებს KPI სისტემა წახალისებისა და სამოტივაციო სისტემის უზრუნველსაყოფად |

| | |
|---|---|
| | 4.2.6. გადამზადებულია პერსონალი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე |
| 4.3.პროფესიული სტუდენტის/ მსმენელის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა | 4.3.1. შიდა რეგულაციებით დაცულია სტუდენტთა და მსმენელთა უფლებები |
| | 4.3.2. სტუდენტები/მსმენელები იცნობენ შეფასების სისტემას და სარგებლობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმებით/ მინიმუმამდე დაყვანილი გასაჩივრების შემთხვევები |
| | 4.3.3. უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის შესაძლებლობა |
| | 4.3.4. წახალისებულია კურიკულუმის მიღმა ღონისძიებები; |
| | 4.3.5. ხელშეწყობილია ადმინისტრაციული მხარდაჭერა; |
| | 4.3.6. კარიერული მხარდაჭერისთვის შექმნილია დამსაქმებელთა ბაზა და ხელმისაწვდომია ინფორმაცია; |

მოსალოდნელი შედეგები:

- ☑ კვალიფიციური და მოტივირებული პერსონალი;
- ☑ ხორციელდება შედეგზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც აერთიანებს ყველა თანამშრომელს;
- ☑ მიღწეულია სტრატეგიული მიზნები.
- ☑ გაზრდილია სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების მაჩვენებელი;
- ☑ დასაქმების მაღალი მაჩვენებელი თეგეტა აკადემიის პროფესიული სტუდენტებისთვის;

რისკი:

- ☑ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების/პოტენციური მასწავლებლების სიმცირე შრომით ბაზარზე;
- ☑ პროფესიული სტუდენტების გამტარობის შეზღუდული რაოდენობა;
- ☑ თანამშრომელთა ჩანაცვლების შესაძლებლობის მოუქნელობა მათი მაღალი დატვირთვის და რაოდენობრივი სიმცირის გათვალისწინებით;
- ☑ დასაქმების ბაზარზე პროფილური სამუშაოზე მოთხოვნის და შესაბამის სპეციალისტებზე მოთხოვნის შემცირება.

## სტრატეგიული მიზანი №5.

## თანამშრომლობა განათლების სისტემაში შემავალ ინსტიტუციებთან

აკადემიის, როგორც პროფესიული კოლეჯის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. შესაბამისად, თეგეტა აკადემიის უმნიშვნელოვანესი მიზანია განათლების სისტემაში შემავალ დაწესებულებებთან უწყვეტი თანამშრომლობა, განვითარების ყველა ეტაპზე შესაბამისი სამართლებრივი მხარდაჭერა და მუდმივი თვითშეფასება. ცალკეულ შემთხვევებში ხარისხის განვითარების ცენტრთან თანამშრომლობა მხარდაჭერილია როგორც ინდივიდუალური კონსულტაციების, ონლაინ და ასევე პერსონალური კონსულტაციებისა და დაწესებულებებისთვის ჩატარებული ტრენინგების გზით. თეგეტა აკადემია სრულად არის ჩართული პროცესების განხორციელებაში.

სტრატეგიული მიზანი №5-ის შესაბამისი ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორებია:

| სტრატეგიული მიზანი №5. თანამშრომლობა განათლების სისტემაში შემავალ დაწესებულებებთან | |
|---|---|
| 5.1.თვითშეფასების, პროგრამის დამატების, გაუქმების, ავტორიზაციის / რეავტორიზაციის პროცესის უზრუნველყოფა | 5.1.1. განხორციელებულია ყოველწლიური თვითშეფასება ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად |
| | 5.1.2. საჭიროების შემთხვევაში შემუშავებულია და წარმოდგენილია გაუმჯობესების გეგმა |
| | 5.1.3. დაგეგმილია რეავტორიზაციის პროცესი და გაკეთებულია განაცხადი ცენტრში |
| | 5.1.4. მოპოვებულია ავტორიზაცია შემდეგი 6 წლის ვადით |
| 5.2. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირების უზრუნველყოფა | 5.2.1. თეგეტა აკადემიას ჰყავს EMIS-ის ბაზაში ინფორმაციის შეყვანაზე პასუხისმგებელი პირი |
| | 5.2.2. უზრუნველყოფილია ინფორმაციის გონივრულ ვადაში შეტანა/განახლება პროგრამების შესახებ |
| | 5.2.3. სისტემაში ასახული ინფორმაცია პერსონალის შესახებ, მუდმივად განახლებადია |
| | 5.2.4. სისტემაში დადგენილ ვადებში ასახული ინფორმაცია სტუდენტების/მსმენელების შესახებ, მუდმივად განახლებადია |
| | 5.2.5. სისტემაში დადგენილ ვადებში ასახული ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ, მუდმივად განახლებადია |
| 5.3. კერძო კოლეჯებთან და პარტნიორ კოლეჯებთან თანამშრომლობა | 5.3.1. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებულია და მოქმედებს თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები |
| | 5.3.2. ახალი თანამშრომლობის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმი/ები. |
| | 5.3.3. მოქმედებს თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი კერძო კოლეჯების ასოციაციასთან |
| 5.4.პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობა | 5.4.1. პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ მინ 3-5 ღონისძიებაში მონაწილეობა წლის ჭრილში |
| | 5.4.2. თანამშრომლობა მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების მიზნით |
| | 5.4.3. მომზადება/გადამზადების პროგრამების შესახებ ჩატარებული მინიმუმ 2 შეხვედრა/გაზიარებული რეკომენდაციები |
| | 5.4.4. დარგის შესაბამისი კვალიფიკაციების გადამუშავების პროცესში ჩართულობა |
| 5.5. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მუდმივი კონტაქტი და თანამშრომლობა | 5.5.1. ცენტრის მიერ ორგანიზებულ მინიმუმ 3-5 აქტივობა/ღონისძიებაში მონაწილეობა წლის მანძილზე |
| | 5.5.2. ინფორმაციის დროული მიწოდების და ანგარიშგების უზრუნველყოფა წლის ჭრილში |
| | 5.5.3. გაზიარებულია ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციები და დანერგილია პრაქტიკაში |

| | |
|---|---|
| 5.6. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობა | 5.6.1. გაფორმებულია მემორანდუმი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან |
| | 5.6.2. უზრუნველყოფილია სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტში |
| | 5.6.3. აკადემია ჩართულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების განახლებაში |
| 5.7. საერთაშორისო დაწესებულებებთან თანამშრომლობა | 5.7.1. აქტიურია თანამშრომლობა Electude-თან |
| | 5.7.2. აქტიურია თანამშრომლობა MAN აკადემიასთან |
| | 5.7.3. აქტიურია თანამშრომლობა JCB აკადემიასთან |
| | 5.7.4. აქტიურია თანამშრომლობა Koning Willem I College-თან |

მოსალოდნელი შედეგები:

- შენარჩუნებული სტატუსი და განვითარების ახალი შესაძლებლობები;
- მუდმივად განახლებადი და აქტუალური ინფორმაცია განათლების სისტემაში პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე ცვლილებების და რეფორმების შესახებ;
- თანამშრომლობა მართვის საინფორმაციო სისტემასთან;
- პროფესიული განათლებლების სისტემაში შემავალ ინტიტუციებთან თანამშრომლობის და ერთობლივი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობების ზრდა, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.
- საერთაშორისო დაწესებულებებთან ურთიერთობა და თანამშრომლობის გაღრმავება, უცხოური პრაქტიკის გაზიარება და დანერგვა;

რისკი:

- პროფესიული განათლების სისტემაში პრიორიტეტების ცვლილება.
- ადამიანური რესურსის და განსახორციელებელი სამუშაოების არაეფექტური შეფარდება;
- პარტნიორობის შესაძლებლობლების სიმცირე;

## სტრატეგიული მიზანი №6.

## თანამშრომლობა პარტნიორ კომპანიასთან/ებთან

თეგეტა აკადემიის, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საავტომობილო და სპეციალური ტექნიკის მიმართულებით შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კადრის მომზადება/გადამზადება და პროფესიონალად ქცევა, რომელიც მაქსიმალურად მიმზიდველი იქნება პოტენციური დამსაქმებლისთვის და კონკურენტუნარიანი სფეროს არსებულ სპეციალისტებს შორის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში პარტნიორი კომპანიების ჩართულობა, რომლის ინსტრუქტორების მეშვეობითაც სტუდენტები/მსმენელები იძენენ პროფესიისთვის საჭირო უნარებსა და კომპეტენციებს, შედეგად კი ბაზრისთვის მოთხოვნად პროფესიონალებად რეალიზდებიან, რომელთაც აქვთ არამხოლოდ

თეორიული, არამედ რეალურ სამუშაო გარემოში მიღებული პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება.

სტრატეგიული მიზანი N6-ის შესაბამისი ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორებია:

| სტრატეგიული მიზანი N6. თანამშრომლობა პარტნიორ კომპანიასთან /ებთან | |
|---|---|
| 6.1. თეგეტა ჰოლდინგთან თანამშრომლობა | 6.1.1. მოქმედებს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები |
| | 6.1.2. ყოველწლიურად ჩატარებულია პარტნიორი კომპანიის საჭიროებათა კვლევა |
| | 6.1.3. კომპანიის თანამშრომელთათვის ხელმისაწვდომია არაფორმალური განათლების აღიარება; |
| | 6.1.4. ერთიანი სისტემით დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები |
| | 6.1.5. პროფესიულ სტუდენტთა კარიერული წინსვლისთვის განხორციელებულია დაკვირვება და სამუშაო ადგილების შეთავაზება |
| | 6.1.6. დარგის წარმომადგენლების/სხვა კომპანიების მონაწილეობა და ჩართულობა კვალიფიკაციის მინიჭების პროცესებში |
| 6.2. შპს "ტრანსფორდი"-სთან თანამშრომლობა | 6.2.1. შემუშავებულია ფოთში საპორტო ტექნიკის ოპერატორების მომზადება/გადამზადების პროგრამები და მიღებულია მონაწილეობა პროგრამის განხორციელებაში |
| 6.3. ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობა | 6.3.1. აკადემია ჩართულია სამშენებლო სპეცტექნიკის მომსახურების სტანდარტის შემუშავებაში |

მოსალოდნელი შედეგები:

- შრომის ბაზრის შესაბამისი პროფეიონალების მომზადება;
- დასაქმების მაჩვენებლის ზრდა;
- დასაქმების და განვითარების ახალი შესაძლებლობები
- მაღალკვალიფიციური სპეციალისტი კომპანიებში;
- ეკონომიკური განვითარება იშვიათი პროფესიებით;
- მომსახურების დონის ამაღლება საავტომობილო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის მიმართულებით.

რისკი:

- კომპანიების მხრიდან ფინანსური რესურსის დაზოგვა;
- კურსდამთავრებულთა ინტერესების სრული დაცვა დასაქმების მხრივ;
- ანაზღაურების საკითხი;
- სოციო -ეკონომიკური ფონის გაუარესება;
- პოტენციური ბენეფიციარების დაინტერესების დაბალი დონე;

## სტრატეგიული მიზანი №7

## საგრანტო პროექტებში მონაწილეობა და ფინანსური მდგრადობა

თეგეტა აკადემიამ აქტიურად დაიწყო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა და მოიპოვა გზა ახალი შესაძლებლობებისკენ, რაც უკავშირდება დამატებით სპეციალობებს და ახალ მიმართულებებს. აკადემია უზრუნველყოფს პროგრამების ფართო სპექტრის შეთავაზებას დაინტერესებული პირებისთვის, რისთვისაც უმაღლესი ხარისხის რესურსით უზრუნველყოფს პროგრამების დაინტერესებული პირებისთვის შეთავაზებას, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

საგრანტო პროექტები სხვა საკითხებთან ერთად, უკავშირდება ფინანსურ რესურსებს, რომელიც გვეხმარება შევცვალოთ, განვაახლოთ, გავამრავალფეროვნოთ არსებული და შევქმნათ ახალი.

სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის თეგეტა აკადემიისთვის, როგორც კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, უმნიშვნელოვანესია ფინანსური მდგრადობის შენარჩუნება.

სტრატეგიული მიზანი №7-ის შესაბამისი ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორებია:

| სტრატეგიული მიზანი N7. საგრანტო პროექტებში მონაწილეობა და ფინანსური მდგრადობა | |
|---|---|
| 7.1. სპეცტექნიკის ოპერატორების მომზადება/გადამზადების პროგრამები (შემუშავება და განხორციელება) | 7.1.1. მიღებულია მონაწილეობა საგრანტო კონკურსში |
| | 7.1.2. გაფორმებული და მოქმედი ხელშეკრულება აკადემიასა და USAID-ს შორის |
| | 7.1.3. შემუშავებული პროგრამა სპეცტექნიკის ოპერატორებისთვის |
| | 7.1.4. შეძენილი სპეცტექნიკის სიმულატორი |
| | 7.1.5. ჩატარებული კურსები სპეცტექნიკის ოპერატორების მომზადების მიზნით |
| | 7.1.6. შემუშავებული და წარდგენილი 6 პროგრამა ცენტრში და უფლების მოპოვება |
| | 7.1.7. მოპოვებულია განხორციელების უფლება 6 პროგრამაზე თბილისის ლოკაციაზე |
| 7.2. ონლაინ სასწავლო პლატფორმა - Electude | 7.2.1. მიღებულია მონაწილეობა საგრანტო კონკურსში |
| | 7.2.2. გაფორმებულია და მოქმედებს ხელშეკრულება თეგეტა აკადემიასა და USAID-ს შორის |
| | 7.2.3. პროექტის შესაბამისად გადათარგმნილი 600 მოდული |
| | 7.2.4. ელექტრონული სასწავლო პლატფორმა გამოიყენება სასწავლო პროცესში დამატებითი რესურსის სახით |
| | 7.2.5. შეთავაზებული ელექტრონული სასწავლო პლატფორმა დაწესებულებებისთვის |
| | 7.2.6. თეგეტა ჰოლდინგის გადამზადებული 800 თანამშრომელი |
| | 7.3.1. მიღებულია მონაწილეობა საგრანტო კონკურსში |

| | |
|---|---|
| 7.3. მომზადება/ გადამზადების პროგრამები ბათუმსა და ფოთში | 7.3.2. გაფორმებულია და მოქმედებს ხელშეკრულება აკადემიასა და USAID-ს შორის |
| | 7.3.3. შემუშავებულია მომზადება/გადამზადების პროგრამები ბათუმის ლოკაციისთვის - 6 პროგრამა |
| | 7.3.4. შემუშავებულია მომზადება/გადამზადების პროგრამები ფოთის ლოკაციისთვის - 8 პროგრამა |
| | 7.3.5. მომზადებულია რესურსები სტანდარტების შესაბამისად |
| | 7.3.6. მოპოვებულია უფლება მომზადება/გადამზადების 14 პროგრამის განხორციელებაზე |
| 7.4. ფინანსური მდგრადობა | 7.4.1 შედგენილია საპროგნოზო ფინანსური გეგმა სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების უზრუნველსაყოფად; |
| | 7.4.2. გათვლილი და ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი საოპერაციო ხარჯები; |
| | 7.4.3. ობიექტურად შეფასებული ფინანსური მდგრადობა; |

## მოსალოდნელი შედეგები:

- ☑ დამატებული პროგრამები და გაზრდილი შესაძლელობები პროფესიის მაძიებელთათვის;
- ☑ რეგიონული განვითარება საავტომობილო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის მიმართულებით;
- ☑ დასაქმებულთა გაზრდილი მაჩვენებელი;
- ☑ სერტიფიცირებული კადრი;
- ☑ დანერგილი თანამედროვე მიდგომებით სწავლება (მათ შორის უნიკალური ელექტრონული პლატფორმა)
- ☑ თანამედროვე და უახლესი მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფილი აკადემია;
- ☑ სიღრმისეული თოორიული ცოდნის  და უნიკალური პრაქტიკული ცოდნის მიღების გარანტიის შექმნა - გამყარება.
- ☑ გაზრდილი შემოსავლები;

## რისკი:

- ☑ დაინტერესებულ პირთა სიმცირე;
- ☑ პროგრამების დაფინანსების ოდენობის სიმცირე;

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

## გამოყენებული რესურსები:


1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წ.წ;
2. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, 2018;
3. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, 2010;
4. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის დოკუმენტი;
5. პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო;
6. დაგეგმვის გზამკვლევი პროფესიული სასწავლებლის თანამშრომლებისთვის 2018.
7. შპს თეგეტა აკადემიის განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა 2018-2023
8. შპს თეგეტა აკადემიის სამოქმედო გეგმები;
9. ახალი (საგრანტო) პროექტების დოკუმენტები/ხელშეკრულებები;
10. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებები.